

წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის გამოკვლევისა და აღრიცხვის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 154-ე მუხლის მოთხოვნები ითვალისწინებს წარმოებაში მომხდარი ყველა უბედური შემთხვევის გამოკვლევას და აღრიცხვას.

აღნიშნულის სისრულეში მოყვანა ხდებოდა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმისა და სსრკ სახმრეწვატომის ზედამხედველობის 1989 წლის 17 აგვისტოს №8-12 დადგენილებით დამტკიცებული „წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის გამოკვლევისა და აღრიცხვის დებულებით“.

საქართველოს კონსტიტუციის 106-ე მუხლიდან გამომდინარე და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს შრომის სახელმწიფო ინსპექციამ და საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციამ შეიმუშავა საქართველოს „წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის გამოკვლევისა და აღრიცხვის დებულება“, რომელიც დამტკიცდა სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს და სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციის კოლეგიების 1996 წ. 12 დეკემბრის №114/8 დადგენილებით.

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ შესაბამისად, დებულება შეთანხმებულია საქართველოს ყველა სამინისტროსთან და გავლილი აქვს ექსპერტიზა იუსტიციის სამინისტროში მისი საქართველოს საკანონმდებლო აქტებთან და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებთან შესაბამისობის შესახებ.

დებულების ამოქმედებისათვის ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის გამოკვლევისა და აღრიცხვის დებულება“.
2. დაევალოს შრომის სახელმწიფო ინსპექციას (ა. მორჩილაძე) და სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამმართველოს (ი. ლლონტი) უზრუნველყონ დებულების გამოქვეყნება და მისი რეესტრში გატარება საქართველოს კანონის - „ნორმატიული აქტების შესახებ“ 38-ე, 41-ე და 54-ე მუხლების შესაბამისად.
3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმისა და სსრკ სახმრეწვატომის ზედამხედველობის 1989 წლის 17 აგვისტოს №8-12 დადგენილება „წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის გამოკვლევისა და აღრიცხვის დებულების“ დამტკიცების შესახებ.

მინისტრი თ. გაზდელიანი

წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის გამოკვლევისა და აღრიცხვის დებულება

I. ზოგადი ნაწილი

1.1 მოცემული დებულება ადგენს მომხდარი უბედური შემთხვევის გამოკვლევის და აღრიცხვის ერთიან სავალდებულო წესს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ და მის იურისდიქციაში მყოფ უწყებებში, ორგანიზაციებში, საწარმოებში, გაერთიანებებში, დაწესებულებებში, ფირმებში და სხვა (შემდგომში „ორგანიზაცია“) მიუხედავად მათი სამართლებრივ - ორგანიზაციული ფორმისა.

1.2 გამოკვლევას ექვემდებარება უბედური შემთხვევები (ტრავმები, მწვავე ერთჯერადი პროფესიული მოწამვლები, თბური დარტყმები, დამწვრობა, მოყინვები, დახრჩობა, ელვისაგან დაზიანება, ცხოველებთან, მწერებთან და ქვეწარმავლებთან კონტაქტის დროს მიყენებული დაზიანებები, ელექტროდენით, იონიზებული გამოსხივებით, აფეთქებით, ავარიებით, შენობა-ნაგებობების დაშლით, სტიქიური უბედურებით და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგად მიყენებული დაზიანებები), რომელიც მოხდა სამუშაოს დაწყებამდე და მისი დამთავრების შემდეგ, იმ დროის განმავლობაში, რომელიც საჭიროა სამუშაო იარაღების, ინსტრუმენტების, ადგილის, დაცვის სპეციალური საშუალებების წესრიგში მოსაყვანად, სამუშაო დროის განმავლობაში ან დაწესებული შესვენებების დროს და შემთხვევა მუშაკს თავისი შრომითი მოვალეობის შესრულების დროს, ორგანიზაციის ტერიტორიაზე ან მის გარეთ, აგრეთვე სამუშაოზე მიმავალ ან უკან დაბრუნებისას გზაზე პირადი ან ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი ტრანსპორტით სარგებლობისას, თუ აღნიშნულმა გამოიწვია მუშაკის სხვა სამუშაოზე გადაყვანა, შრომის უნარის დროებითი ან მუდმივი დაკარგვა ან მისი სიკვდილი.

1.3. დებულების მოქმედება ვრცელდება:

– დამსაქმებელზე;



– მუშაკებზე, რომლებიც ასრულებენ სამუშაოს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე (კონტრაქტი);

– მუშაკებზე, საწარმოო იარაღების, სპეცტანსაცმლის, სხვა დამცავი საშუალებების და საჭირო ნივთების წესრიგში მოყვანისას, სამუშაოს დაწყებამდე ან მისი დამთავრების შემდეგ; ცვლებს შორის დასვენებებზე სავალდებულო მეთოდით მუშაობისას; სამუშაო დროს პირადი მფლობელობის ტრანსპორტით სარგებლობისას, როცა არსებობს დამსაქმებლის ნებართვა მისი სამსახურებრივი სარგებლობისათვის გამოყენების შესახებ ან დამსაქმებლის ერთჯერადი დავალების შესრულებისას; საზოგადოებრივ სამუშაოებზე მათი ჩატარების ადგილის და დროის მიუხედავად; საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე რაიმე ქმედებისას მუშაკის ინიციატივით, პასუხისმგებელი პირის დავალების გარეშე; სამუშაო დროს სხვა პირის მიერ მიყენებული სხეულის დაზიანების ან განზრახ მკვლელობისას მუშაკის მიერ სამუშაოს შესრულების მომენტში;

– მოქალაქეებზე, რომლებიც ასრულებენ სამუშაოს სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებით, იჯარით ან დავალებით;

– სტუდენტებზე და მოსწავლეებზე ორგანიზაციაში პრაქტიკის გავლის დროს ან სხვა სამუშაოების შესრულებისას;

– არასაუწყებო დაცვის მუშაკებზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას;

– სამხედრო მოსამსახურეებზე, რომლებიც გაგზავნილი არიან ორგანიზაციებში იმ სამუშაოს შესასრულებლად, რაც მათ სამხედრო სამსახურთან არ არის დაკავშირებული;

– პირებზე, რომელთაც მისჯილი აქვთ და დასაქმებული არიან ორგანიზაციაში;

– პირებზე, რომლებიც ირიცხებიან შრომა-გასწორებით კოლონიებში, სამკურნალო პროფილაქტორიუმებში და დასაქმებულნი არიან სხვა ორგანიზაციებში;

– სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, რომლებიც მუშაობენ საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ ორგანიზაციაში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულებით;

– მოქალაქეებზე, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სტიქიური უბედურებებითა და საგანგებო (ბუნებრივი ან ტექნიკური) სიტუაციებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციაში.

1.4. დამსაქმებელი ან მისი რწმუნებული პასუხისმგებელი პირი (შემდგომში „დამსაქმებელი“) ვალდებულია:

– უზრუნველყოს დაზარალებული პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით, საჭიროების შემთხვევაში გადაიყვანოს იგი სამედიცინო დაწესებულებაში შემდგომი დახმარებისა და მკურნალობისთვის;

– შექმნას უბედური შემთხვევის გამომკვლევ კომისია;

– კომისიის მიერ უბედური შემთხვევის გარემოებებისა და მიზეზების გამოკვლევის დაწყებამდე (შესაძლოა მის დასრულებამდე) უზრუნველყოს შემთხვევის ადგილზე ისეთი გარემოების შენარჩუნება, როგორც იყო უბედური შემთხვევის მოხდენის მომენტში, თუ ეს არ ემუქრება იქ მყოფი სხვა მუშაკების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ გამოიწვევს ავარიას;

– შეატყობინოს 24 საათის განმავლობაში დადგენილი ფორმის მიხედვით (დანართი №1) უბედური შემთხვევა ჯგუფური (ორი ან მეტი დაზარალებული) აშკარა ინვალიდობის და სასიკვდილო შედეგით;

ა) შრომის სახელმწიფო ინსპექტორს და შრომის ინსპექციას, პროკურატურას უბედური შემთხვევის ადგილის მიხედვით;

ბ) სახელმწიფო ზედამხედველობის სხვა ორგანოებს, თუ ორგანიზაცია ექვემდებარება მათ ზედამხედველობას;

გ) მშრომელთა წარმომადგენლობით იმ ორგანიზაციას ან პროფკავშირს, რომლის წევრიც არის დაზარალებული;

დ) ზემდგომ სამეურნეო ორგანოს (თუ ასეთი არსებობს);

ე) დაზარალებული მუშაკის მიმავლინებელ ორგანიზაციას;

ვ) თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოს;

ზ) სადაზღვევო სამსახურს (კომპანიას), სადაც დაზღვეულია მუშაკი.

განსაკუთრებით მძიმე შედეგებით უბედური შემთხვევის შესახებ (პუნქტი 3.1) უნდა ეცნობოს საქართველოს მთავრობას და პრეზიდენტს.

1.5. სამედიცინო დაწესებულება, სადაც აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება დაზარალებულს, გასცემს ცნობას ტრავმის სიმძიმის კატეგორიის შესახებ, ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე.



სასამართლო-სამედიცინო საექსპერტო ბიურო გასცემს დასკვნას სიკვდილის მიზეზებზე და გამომკვლევ კომისიისათვის სხვა საჭირო საკითხებზე, კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნის საფუძველზე.

1.6. პასუხისმგებლობა უბედური შემთხვევის დროულ გამოკვლევასა და აღრიცხვაზე, მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის ღონისძიებების შემუშავებასა და მათ რეალიზაციაზე ეკისრება, დამსაქმებელს.

1.7. უბედური შემთხვევები, რომელიც შეემთხვათ მოსწავლეებსა და სტუდენტებს სასწავლო პროცესში, გამოიკვლევა და აღრიცხება საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

2. უბედური შემთხვევის გამოკვლევის წესი

2.1. უბედური შემთხვევის გამოკვლევა ხდება კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:

- დამსაქმებელი ან მისი უფლებამოსილი პირი;
- მშრომელთა წარმომადგენლობითი ორგანოს ან პროფკავშირის უფლებამოსილი პირი;
- სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელი, სადაც დაზღვეულია დაზარალებული;
- დაზარალებულის მოთხოვნით, მის მიერ უფლებამოსილი პირი. (გარდაცვალების შემთხვევაში, ახლონათესავების მიერ უფლებამოსილი პირი).

იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულის მიერ უფლებამოსილი პირი გამოკვლევაში არ მონაწილეობდა, დამსაქმებელი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში გააცნოს მას გამოკვლევის მასალები.

2.2. კომისიის შემადგენლობა დამტკიცებული უნდა იქნეს ორგანიზაციის ხელმძღვანელის (დამსაქმებლის/) ბრძანებით.

ორგანიზაციაში უსაფრთხოებაზე უშუალო პასუხისმგებელი ხელმძღვანელი პირის კომისიის შემადგენლობაში ჩართვა დაუშვებელია.

2.3. უბედური შემთხვევის გარემოება და მიზეზები გამოკვლეული უნდა იქნეს კომისიის მიერ 3 დღე-ღამის განმავლობაში.

გამოკვლევის ჩატარების დროს კომისია გამოავლენს და გამოკითხავს თვითმხილველებს და იმ პირებს, რომლებმაც დაარღვიეს შრომისა და შრომის დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნები, იღებს ყველა აუცილებელ ინფორმაციას დამსაქმებლისაგან და საჭიროების შემთხვევაში – ახსნა-განმარტებას დაზარალებულისაგან.

2.4. უბედური შემთხვევა, რომელიც შეემთხვა სხვა ორგანიზაციის მიერ გაგზავნილ მუშაკს, მათ შორის სამხედრო მოსამსახურეებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს, რომლებიც გადიოდნენ პრაქტიკას ან მუშაობდნენ, გამოიკვლევა იმ ორგანიზაციაში, სადაც მოხდა უბედური შემთხვევა. კომისიაში მონაწილეობას იღებს გამგზავნი ორგანიზაციის სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

სხვა ორგანიზაციიდან დროებით გადაყვანილი მუშაკის უბედური შემთხვევის გამოკვლევას აწარმოებს ის ორგანიზაცია, სადაც მოხდა უბედური შემთხვევა.

2.5. უბედური შემთხვევა, რომლის შესახებ შეტყობინება დამსაქმებელმა მიიღო დაგვიანებით, ან რომლის შედეგად შრომის უნარის დაქვეითება ან დაკარგვა მოხდა მოგვიანებით, გამოიკვლევა დაზარალებულის (ან მის მიერ უფლებამოსილი პირის) განცხადების საფუძველზე, ერთი თვის განმავლობაში განცხადების მიღების დღიდან.

2.6. უბედური შემთხვევა, რომელიც შეემთხვა მივლინებაში მყოფ მუშაკს, გამოიკვლევა იმ ორგანიზაციაში, სადაც მოხდა შემთხვევა. გამოკვლევაში მონაწილეობას იღებს მიმავლინებელი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი.

2.7. უბედური შემთხვევა, რომელიც შეემთხვა მუშაკს ორგანიზაციის კუთვნილ საჰაერო, საზღვაო (სამდინარო) ტრანსპორტზე, გამოიკვლევა შესაბამისი კოდექსებით დადგენილი წესის მიხედვით. ორგანიზაციის ადმინისტრაცია გამოკვლევის მასალებზე დაყრდნობით ადგენს აქტს (ფორმა ტ. 1).

ორგანიზაციის კუთვნილი ტერიტორიის გარეთ მომხდარ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას იკვლევს საგზაო პოლიცია. ორგანიზაციის ადმინისტრაცია გამოკვლევის მასალებზე დაყრდნობით ადგენს ფაქტს (ფორმა ტ-1). სპეციალურ გამოკვლევას დაქვემდებარებული შემთხვევის გამოკვლევას აწარმოებს 3.2. პუნქტის თანახმად შემდგარი კომისია, სატრანსპორტო პოლიციის მასალებზე დაყრდნობით.

2.8. უბედური შემთხვევა, რომელიც შეემთხვა საქართველოს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს და იმყოფება შრომით ურთიერთობაში საქართველოს იურისდიქციაში მყოფ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ტერიტორიაზე განლაგებულ ორგანიზაციებთან, გამოიკვლევა და აღრიცხება 1994 წლის 9 დეკემბრის საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილი წესით, (მუხლი 5) და ფორმდება H-1M აქტით (დანართი №2).



3. უბედური შემთხვევის სპეციალური გამოკვლევა

3.1. სპეციალურ გამოკვლევას ექვემდებარება:

- ჯგუფური უბედური შემთხვევა, სხეულის დაზიანების სიმძიმის მიუხედავად;
- უბედური შემთხვევა აშკარა ინვალიდობის შედეგით;
- განსაკუთრებით მძიმე უბედური შემთხვევა, რომლის დროსაც სასიკვდილო ტრავმა მიიღო ხუთზე მეტმა მუშაკმა.

3.2. ჯგუფური უბედური შემთხვევა, აშკარა ინვალიდობისა და სასიკვდილო შედეგით, გამოიკვლევა კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:

- თავმჯდომარე-შრომის სახელმწიფო ინსპექტორი (მთავარი ინსპექტორი);
- წევრები:
- ზემდგომი ორგანოს უფლებამოსილი პირი (თუ ასეთი ორგანო არსებობს);
- ადგილობრივი მართვის ორგანოს წარმომადგენელი;
- ორგანიზაციის (სადაც მოხდა უბედური შემთხვევა) წარმომადგენელი;
- ორგანიზაციის (საჭიროებისამებრ), რომელმაც მიავლინა ან გაგზავნა სამუშაოდ მუშაკი, სრულუფლებიანი წარმომადგენელი;
- დაზარალებულის მიერ უფლებამოსილი პირი (მოთხოვნის შემთხვევაში);
- სადაზღვევო კომპანიის მიერ უფლებამოსილი პირი ან სრულუფლებიანი წარმომადგენელი, სადაც დაზღვეულია დაზარალებული;
- მშრომელთა წარმომადგენლობითი ორგანოს ან პროფკავშირის წარმომადგენელი;
- ენერგოზედამხედველობის ორგანოს წარმომადგენელი, თუ შემთხვევას ადგილი აქვს მათ საზედამხედველო ორგანიზაციაში ან ობიექტზე.

ენერგოზედამხედველობის ორგანოს წარმომადგენელი იძლევა ტექნიკურ დასკვნას უბედური შემთხვევის მიზეზებზე და პასუხისმგებელ პირებზე.

კომისიის შემადგენლობა დგინდება შრომის სახელმწიფო ინსპექტორის მოთხოვნით.

3.3. სპეციალურ გამოკვლევას დაქვემდებარებული უბედური შემთხვევა, რომელიც მოხდა სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის საზედამხედველო ორგანიზაციაში, ან ობიექტზე, გამოიკვლევა ამ ორგანოს ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ. კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოს წარმომადგენელი. კომისიის შემადგენლობაში შედის შრომის სახელმწიფო ინსპექტორი (მთავარი ინსპექტორი).

3.4. განსაკუთრებით მძიმე შედეგებით უბედურ შემთხვევას იკვლევს კომისია, რომელიც იქმნება სახელმწიფო მინისტრის განკარგულებით, კომისიის შემადგენლობაში შედიან:

სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოების წარმომადგენლები, სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების, ჯანმრთელობის დაცვის, შინაგან საქმეთა, ფინანსთა, იუსტიციის და სხვა დაინტერესებული სამინისტროების წარმომადგენლები, მშრომელთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციის ან პროფკავშირის წარმომადგენლები, სადაზღვევო კომპანიის (კომპანიების) წარმომადგენლები.

3.5. კომისია უბედური შემთხვევის გამოკვლევას ამთავრებს 15 დღის განმავლობაში. აუცილებლობის შემთხვევაში გამოკვლევისათვის საჭირო დრო შეიძლება გაგრძელდეს.

3.6. იმ შემთხვევაში, თუ შრომის სახელმწიფო ინსპექტორმა ობიექტური მიზეზების გამო მონაწილეობა ვერ მიიღო უბედური შემთხვევის გამომკვლევ კომისიის მუშაობაში, კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს ადგილობრივი მმართველობის ორგანოს წარმომადგენელი.

აღნიშნულ შემთხვევაში შრომის სახელმწიფო ინსპექტორი (მთავარი ინსპექტორი) ეცნობა გამოკვლევის მასალებს და თანხმობას ადასტურებს ხელმოწერით სპეციალური გამოკვლევის აქტზე (დანართი №3), წინააღმდეგ შემთხვევაში მას უფლება აქვს ჩაატაროს დამატებითი გამოკვლევა და შეადგინოს თავისი დასკვნა (დანართი №4), რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად დამსაქმებლისათვის.

3.7. უბედური შემთხვევის გამომკვლევ კომისიის მოთხოვნათა საფუძველზე დამსაქმებელი ვალდებულია ორგანიზაციის ხარჯებით უზრუნველყოს:



– ტექნიკური გაანგარიშების შესრულება;

– ლაბორატორიული გამოკვლევა;

– ექსპერტების მოწვევა;

– დაზიანებული ობიექტებისა და უბედური შემთხვევის ადგილის ფოტოგრაფირება, სქემების, გეგმებისა და სხვა საჭირო ნახაზების შედგენა;

– კომისიის წევრები და მოწვეული ექსპერტები საჭირო ტრანსპორტით, კავშირგაბმულობის

საშუალებებით, სპეცტანსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებებით.

3.8. დამსაქმებელი ვალდებულია განიხილოს უბედური შემთხვევის გამომწვევი მიზეზები და შედეგები მისი განმეორების თავიდან აცილებისა და დაზარალებულთათვის (მათი ოჯახის წევრებისთვის) მიყენებული ზარალის ანაზღაურების, კომპენსაციების და შეღავათების დანიშნვის, აგრეთვე კომისიის მიერ დადგენილი ღონისძიებების შესრულების მიზნით.

4. უბედური შემთხვევის გამოკვლევის დოკუმენტურიგაფორმება და მათი აღრიცხვა

4.1. უბედური შემთხვევა, რომელმაც გამოიწვია მუშაკის სხვა სამუშაოზე აუცილებელი გადაყვანა სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, ან შრომის უნარის დაკარგვა ერთი ან მეტი სამუშაო დღით, ან სიკვდილი, ფორმდება უბედური შემთხვევის შესახებ აქტით (ფორმა ტ-1, დანართი 5) სამ ეგზემპლარად.

– უბედური შემთხვევა, რომელიც გამომკვლევ კომისიის გადაწყვეტილებით აღრიცხვას არ ექვემდებარება, ტ-1 ფორმის აქტით არ ფორმდება.

ჯგუფური უბედური შემთხვევის დროს აქტი (ფორმა ტ - 1) შედგება ცალ-ცალკე თითოეულ დაზარალებულზე.

იმ შემთხვევაში, თუ უბედური შემთხვევა მოუვიდა სხვა ორგანიზაციის წარმომადგენელს, აქტი დგება ერთი ეგზემპლარით მეტი. აქტი ტ-1-ისა და სხვა მასალების ერთი ეგზემპლარი რჩება ორგანიზაციაში, სადაც მოხდა უბედური შემთხვევა, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები ეგზავნება ორგანიზაციას, რომლის წევრსაც მოუვიდა უბედური შემთხვევა.

უბედური შემთხვევის აქტში (ფორმა ტ-1) ზუსტად უნდა იქნეს აღწერილი უბედური შემთხვევის გარემოებანი და მიზეზები, მითითებულ უნდა იქნეს ის პირი ან პირები, ვინც დაარღვია შრომისა და შრომის დაცვის ნორმატივების მოთხოვნები.

4.2. აქტს (ფორმა ტ-1) ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი, ამტკიცებს დამსაქმებელი ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით.

აქტის ერთი ეგზემპლარი ეგზავნება დაზარალებულს ან მის ნდობით აღჭურვილ პირს, ან გარდაცვლილის ახლო ნათესავებს გამოკვლევის დამთავრებისა და აქტის დამტკიცებიდან 3 დღის განმავლობაში. აქტის ერთი ეგზემპლარი ინახება გამოკვლევის მასალებთან ერთად, უბედური შემთხვევის მოხდენის დღიდან 50 წლის განმავლობაში, იმ ორგანიზაციაში, სადაც ძირითადად მოუშობდა (სწავლობდა, მსახურობდა) დაზარალებული შემთხვევის მომენტისათვის.

აქტის ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შრომის სახელმწიფო ინსპექტორს, რომელიც ზედამხედველობას უწევს ორგანიზაციას. ორგანიზაციის ლიკვიდაციის /გაუქმების/ შემთხვევაში აქტები (ფორმა ტ-1) უნდა გადაეცეს ორგანიზაციის უფლებამონაცვლე ორგანიზაციას, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო არქივს.

4.3. დებულების 3.1 მუხლში ჩამოთვლილი უბედური შემთხვევების სპეციალური გამოკვლევის დასრულების შემდეგ ფორმდება სპეციალური გამოკვლევის აქტი (დანართი №3).

მასალებთან სრულ შესაბამისობაში უნდა შედგეს უბედური შემთხვევის აქტი (ფორმა ტ-1) თითოეულ დაზარალებულზე ცალ-ცალკე, რომელსაც ამტკიცებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

4.4. სპეციალური გამოკვლევის მასალებს უნდა დაერთოს:

– უბედური შემთხვევის აქტი (ფორმა ტ-1) თითოეულ დაზარალებულზე;

– შემთხვევის ადგილის გეგმები, სქემები, ესკიზები, აუცილებლობის შემთხვევაში ფოტოსურათები, ვიდეომასალა და კინოფირები;

– სამუშაო ადგილის, მანქანა-დანადგარების, მოწობილობების და სხვა ტექნიკის მდგომარეობის ამსახველი



დოკუმენტაციის ამონაწერები, საშიში და მავნე საწარმოო ფაქტორების დამადასტურებელი დოკუმენტების ამონაწერები;

– ამონაწერები ინსტრუქტაჟების, სწავლების, ცოდნის შემოწმების ოქმების და შრომის დაცვის წესების ცოდნის დამადასტურებელი სხვა საბუთებიდან;

– დაზარალებულთა ახსნა-განმარტებანი, თვითმხილველთა გამოკითხვის ოქმები;

– ექსპერტთა და სხვა მოწვეულ სპეციალისტთა დასკვნები;

– ლაბორატორიული ანალიზისა და კვლევის შედეგები;

– ამონაწერები ნორმატიული, სამართლებრივი, სხვა ორგანიზაციული და განმკარგულებელი აქტებიდან, რომლებიც არეგულირებენ შრომის დაცვის საკითხებს და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას;

– სამედიცინო დასკვნა დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანების ხასიათსა და ხარისხზე ან მისი სიკვდილის მიზეზებზე, აგრეთვე დაზარალებულის ალკოჰოლურ, ნარკოლოგიურ ან ტოქსიკოლოგიურ სიმთვრალეზე;

– საბუთების ასლები ან ამონაწერები, რომლებიც ადასტურებენ დაზარალებულზე აუცილებელი და სავალდებულო დაცვის ინდივიდუალური საშუალებების გაცემას მოქმედი ნორმატივების მიხედვით;

– შრომის სახელმწიფო ინსპექტორის, სხვა სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოების წარმომადგენელთა მიერ გაცემული მიწერილობების ან წარდგინებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაცემული წარდგინების ამონაწერები, თუ ასეთი მანამდე არსებობდა, მასალებს შეიძლება დაემატოს;

– კომისიის წევრების განსაკუთრებული მოსაზრებების ასლები და სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს წარმომადგენლის დასკვნა;

– კომისიის შემადგენლობის დამტკიცების ბრძანების ასლი;

– ცნობა ავარიით გამოწვეული მატერიალური ზარალის შესახებ;

– ცნობა გარდაცვლილის (გარდაცვლილების) ოჯახის შემადგენლობის შესახებ;

– სხვა დოკუმენტები, რომელთაც კომისია საჭიროდ მიიჩნევს.

4.5. ყოველი უბედური შემთხვევის აქტი (ფორმა ტ-1) აღირიცხება ორგანიზაციის მიერ დაზარალებულის მუდმივი სამუშაოს (სასწავლებლის, სამსახურის) მიხედვით რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში. (ფორმა დანართი №6).

4.6. ყოველი უბედური შემთხვევა, რომელიც გაფორმებულია აქტით (ფორმა ტ-1) აღირიცხება წარმოებაში დროებით შრომისუუნარობისა და ტრავმატიზმის შესახებ სტატისტიკურ ანგარიშში.

4.7. უბედური შემთხვევის სპეციალური გამოკვლევის მასალებს მათი გაფორმებიდან ხუთი დღის განმავლობაში გამომკვლევნი კომისიის თავმჯდომარე აგზავნის:

– პროკურატურაში, უბედური შემთხვევის მოხდენის ადგილის მიხედვით;

– შრომის სახელმწიფო ინსპექციაში;

– სახელმწიფო ზედამხედველობის იმ ორგანოში, რომლის ზედამხედველობასაც ექვემდებარება ორგანიზაცია (ობიექტი);

– სადაზღვევო კომპანიაში (მოთხოვნის შემთხვევაში);

– ორგანიზაციაში, სადაც მოხდა უბედური შემთხვევა და მის ზემდგომ ორგანიზაციაში;

– ორგანიზაციაში, რომელმაც მიაწვლინა მუშაკი;

– მშრომელთა წარმომადგენლობით საზოგადოებრივ ორგანიზაციაში (მოთხოვნის შემთხვევაში).

4.8. აღირიცხვას არ ექვემდებარება ბუნებრივი სიკვდილის შემთხვევები, თვითმკვლელობა, შემთხვევები, რომლებიც გამოწვეულია ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ტოქსიკური მოწამვლის შედეგად და არ არის გაპირობებული საწარმოო მიზეზებით; ტრავმები, რომლებიც მიიღეს მუშაკებმა მათ მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისას, აგრეთვე პირადი მიზეზებისათვის ჩადენილი ქმედებისას ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე.

4.9. უბედური შემთხვევები, რომლის გამოკვლევის შედეგად არ იქნა შედგენილი აქტი ფორმა ტ-1, აღირიცხვას და ანგარიშგებას არ ექვემდებარება.



5. დასკვნითი ნაწილი

5.1. დამსაქმებელი ვალდებულია სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოში გააგზავნოს წერილობითი შტყობინება დადგენილი ღონისძიებების შესრულების შესახებ.

სამართალდამცავი ორგანოები-სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან შეწყვეტის შესახებ აცნობებენ სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს.

5.2. უბედური შემთხვევის გამოკვლევის და სათანადო დოკუმენტაციის გაფორმებისას დამსაქმებელსა და დაზარალებულს შორის აღძრული უთანხმოების შემთხვევაში, საკითხს განიხილავს კუთვნილებისამებრ სახელმწიფო საზედამხედველო ორგანო ან სასამართლო, ასეთ შემთხვევაში სარჩელის აღძვრა არ წარმოადგენს სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს წარმომადგენლის (ინსპექტორის) მიერ გაცემული გადაწყვეტილების შეუსრულებლობის საფუძველს.

5.3. განცხადების ან სარჩელის, უთანხმოების, უბედური შემთხვევის ფაქტის გამოვლენის დამალვის და სხვა გარემოებების დროს შრომის სახელმწიფო ინსპექციის ან სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოს კუთვნილებისამებრ უფლება აქვს დამოუკიდებლად ჩაატაროს უბედური შემთხვევის გამოკვლევა მისი მოხდენის ხანდაზმულობის მიუხედავად.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით ფორმდება დასკვნა, რომელიც აუცილებელია შესასრულებლად დამსაქმებლისათვის. მისი გასაჩივრება შეიძლება საზედამხედველო ორგანოში (კუთვნილებისამებრ) ან სასამართლოში დასკვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში.

5.4. პირები, რომლებიც არ შეასრულებენ ამ დებულების მოთხოვნებს, მიცემულნი იქნებიან პასუხისგებაში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

დანართი №1

წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ

შეტყობინების სქემა

1. ორგანიზაციის, მისი ზემდგომი სამინისტროს ან უწყების დასახელება.

2. უბედური შემთხვევის თარიღი, დრო, ადგილი, სამუშაოს დასახელება და გარემოებების მოკლე აღწერა, რომლის დროსაც მოხდა უბედური შემთხვევა.

3. დაზარალებულთა, მათ შორის გარდაცვლილთა რიცხვი.

4. ტრავმირებულის (გარდაცვლილის) გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, პროფესია, თანამდებობა (თითოეულზე ცალ-ცალკე).

5. შეტყობინების გაგზავნის (გადაცემის) თარიღი, თანამდებობის პირის გვარი, რომელმაც ხელი მოაწერა, გადასცა შეტყობინება.

დანართი №2

1994 წ. 9 დეკემბრის საერთაშორისო

შეთანხმებისა წარმოებაში

მომხდარი უბედური შემთხვევის

გამოკვლევის წესის შესახებ

მუშაკის ქვეყნის გარეთცხოვრების

შემთხვევაში

ფორმა H- 1M (საერთაშორისო)

„ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ “
ორგანიზაციის ხელმძღვანელი

(ხელმოწერა, ს.მ.გ.)

„ — “ „ — — — — “ 199 წ.

ბეჭედი

აქტი

წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ

1. ორგანიზაციის დასახელება, რეგისტრაციის ნომერი -----



1.1. სახელმწიფო-----

1.2. ორგანიზაციის მისამართი:

ოლქი-----

ქალაქი, ქუჩა, სახლის № -----

საბინაო რეკვიზიტები -----

1.3. საკუთრების ფორმა-----

/სახელმწიფო, მინიციპალური, კერძო და სხვა/

1.4. საამქრო, უბანი, ადგილი, სადაც მოხდა უბედური შემთხვევა-----

2. ეკონომიკის დარგი (სამინისტრო, უწყება) -----

3. ორგანიზაცია, რომელმაც გააგზავნა მუშაკი -----

(სახელმწიფო საწარმოს დასახელება,

მისამართი, ბანკის რეკვიზიტები, ეკონომიკის სფერო, სამინისტრო, უწყება

4. დაზარალებულის გვარი, სახელი, მამის სახელი -----

5. სქესი: მამრობითი, მდედრობითი (ხაზი გაუსვით) -----

6. წლოვანება (სრული წლების რაოდენობა) -----

7. პროფესია, თანამდებობა -----

თანრიგი, კლასი -----

8. მოცემული პროფესიით მუშაობის სტაჟი, იმ სამუშაოს შესრულების დროს, როდესაც მოხდა უბედური შემთხვევა

9. უსაფრთხოების საკითხებზე ინსტრუქტაჟის და სწავლების ჩატარების თარიღი:

9.1. შესავალი ინსტრუქტაჟი -----

9.2. შრომის უსაფრთხოების სწავლება -----

9.3. პირველადი (განმეორებითი) ინსტრუქტაჟი -----

9.4. მომეტებული საფრთხის სამუშაოების ცოდნის შემოწმება -----

9.5. წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების გავლა -----

10. უბედური შემთხვევის მოხდენის თარიღი და დრო-----

(სრული საათების

რაოდენობა სამუშაოდ დაწყებიდან)

11. უბედური შემთხვევის გარემოებანი -----

11.1. მიზეზები -----

11.2. მოწყობილობა, რომელმაც გამოიწვია ტრავმა -----



11.3. დაზარალებულთა ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალე -----

(სამედიცინო დასკვნის საფუძველზე)

11.4. დიაგნოზი -----

(წინასწარი, საბოლოო)

12. უბედური შემთხვევის მიზეზების თავიდან ასაცილებელი ღონისძიებები

ღონისძიებების № დასახელება	შესრულების ვადა	შემსრულებელი	აღნიშვნა შემსრულებლის შესახებ
-------------------------------	--------------------	--------------	----------------------------------

13. პირები, რომლებმაც დაარღვიეს შრომის დაცვის ნორმატიული აქტები -----

(ს.მ.გ., თანამდებობა, ორგანიზაციის დასახელება)

(მათ მიერ დარღვეული სტატია, პარაგრაფი, კანონმდებლობის პუნქტები, ნორმატიული დოკ.)

14. უბედური შემთხვევის თვითმხილველნი -----

აქტი შედგენილია -----

(თვე, რიცხვი, წელი)

ხელმძღვანელი/სპეციალისტი/შრომის დაცვის დარგში -----

(ხელმოწერა ს.მ.გ. თანამდებობა)

შრომითი კოლექტივის უფლებამოსილი პირი/პროფკავშირის)შრომის დაცვის

საკითხებში -----

(ხელმოწერა, ს.მ.გ., თანამდებობა)

(სამქროს, უბნის) ქვედანაყოფის ხელმძღვანელი -----

(ხელმოწერა, ს.მ.გ., თანამდებობა)

დანართი №3

სპეციალური გამოკვლევის აქტი

უბედური შემთხვევა -----

(ჯგუფური, აშკარა ინვალიდობით, სასიკვდილო შედეგით)



(დაზარალებულის სახელი, გვარი, მამის სახელი)

(ზემდგომი სამეურნეო ორგანოს დასახელება)

კომისიამ, რომელიც შემდგარია -----

და რომლის შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე -----

(გვარი, სახელი, მამის სახელი,

დაკავებული თანამდებობა, სამუშაო ადგილი)

კომისიის წევრები -----

(გვარი, სახელი, მამის სახელი, დაკავებული თანამდებობა,

სამუშაო ადგილი)

მოწვეული სპეციალისტები -----

(გვარი, სახელი, მამის სახელი

დაკავებული თანამდებობა, სამუშაო ადგილი)

19 წლის „-----“ დან 19 წლის „-----“ მდე

ჩაატარა მოცემული უბედური შემთხვევის სპეციალური გამოკვლევა და შეადგინა აღნიშნული აქტი.

1. ცნობები დაზარალებულის (დაზარალებულების) შესახებ

გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, პროფესია, თანამდებობა, მუშაობის საერთო და პროფესიული (მათ შორის მოცემულ საწარმოში) სტაჟი სწავლების, ინსტრუქტაჟის, უსაფრთხოების ტექნიკის სფეროში ცოდნის შემოწმების დრო, დაზარალებულის ოჯახური მდგომარეობა, ცნობები ოჯახის იმ წევრების შესახებ, რომლებიც მის კმაყოფაზე იმყოფებიან (გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, დაზარალებულთან ნათესაური კავშირი) სასიკვდილო შემთხვევის დროს

2. საწარმოს, უბნის, სამუშაო ადგილის მოკლე დახასიათება.

მოცემული უნდა იქნეს უბედური შემთხვევის ადგილის მოკლე დახასიათება, მიეთითოს, რა საშიშ და მავნე ფაქტორებს შეეძლო მოეხდინა



ზემოქმედება დაზარალებულზე.

თუ უბედური შემთხვევა მოხდა ობიექტზე ავარიის შედეგად, აქტში დამატებით უნდა ჩაერთოს:

ობიექტის დახასიათება, ობიექტის დასახელება და ტიპი, მისი ძირითადი პარამეტრები, საქარხნო ნომერი, ქარხანა-დამამზადებელი, დამზადებისა და დაყენების წელი. უკანასკნელი შემოწმებისა და გამოცდის თარიღი და ვადა;

მონაცემები ავარიის კატეგორიისა და ხასიათის შესახებ;

მონაცემები ავარიის შედეგად გამოწვეული დანაკარგებისა და ზარალის შესახებ.

3. უბედური შემთხვევის გარემოებანი.

აუცილებელია მიეთითოს, რა უსწრებდა წინ უბედურ შემთხვევას, როგორ მიმდინარეობდა შრომის პროცესი, ვინ ხელმძღვანელობდა ამ პროცესს: აღწერილ იქნეს დაზარალებულის (დაზარალებულთა) და იმ პირების მოქმედება, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ უბედურ შემთხვევასთან, გადმოიციეს მოვლენათა თანამიმდევრობა, დასახელდეს საშიში (მაგნე) საწარმოო ფაქტორი, მანქანა, ინსტრუმენტი ან მოწყობილობა, რომლებმაც გამოიწვიეს ტრავმები.

4. უბედური შემთხვევის მიზეზები.

მითითებულ იქნეს უბედური შემთხვევის ტექნიკური და ორგანიზაციული მიზეზები, გადმოიციეს შრომის კანონმდებლობის, თანამდებობრივი ინსტრუქციის, შრომის დაცვის წესების, სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ნორმების კონკრეტულად რომელი მოთხოვნები იქნა დარღვეული, აგრეთვე სახელმწიფო სტანდარტების დარღვევა, მიეთითოს რომელი საშიში და მაგნე საწარმოო ფაქტორები აჭარბებდნენ დასაშვებ ნორმებსა და დონეს.

5. უბედური შემთხვევების მიზეზების აღმოსაფხვრელი ღონისძიებები

კომისიის მიერ დასახული ღონისძიებები უნდა მოიცავდნენ:

უბედური შემთხვევის მქონე ავარიის, თუ ასეთს ადგილი ჰქონდა, სალიკვიდაციო ღონისძიებებს;

უბედური შემთხვევის გამომწვევი მიზეზებისა და მსგავსი შემთხვევის გამეორების თავიდან აცილების ღონისძიებებს;

ისინი შეიძლება გადმოცემულ იქნეს ცხრილის სახით, თანდართული ფორმის მიხედვით, ან ჩამოითვალოს ტექსტში ღონისძიებების შინაარსის, შესრულების ვადისა და პასუხისმგებელი პირის მითითებით.

ღონისძიება	შესრულების ვადა	შემსრულებელი
------------	-----------------	--------------

6. კომისიის დასკვნა იმ პირების შესახებ, რომლებმაც დაარღვიეს შრომის კანონმდებლობა და შრომის დაცვის წესები.

ამ განყოფილებაში უნდა მიეთითოს პირები, რომლებიც პასუხს აგებდნენ იმ თავიანთ ქმედებაზე და უმოქმედობაზე, რომლებმაც მიგვიყვანა უბედურ შემთხვევამდე (უბედური შემთხვევის მქონე ავარიამდე). მიეთითოს ის სტატიები, პარაგრაფები, კანონმდებლობის პუნქტები, შრომის დაცვის ნორმატიული დოკუმენტები, თანამდებობრივი ინსტრუქციები, სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მიერ დამტკიცებული სხვა ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც მათ არ დაიცვეს.

უბედური შემთხვევის გამოკვლევის აქტში უნდა გაკეთდეს ჩანაწერი იმის შესახებ, ჰქონდათ თუ არა კომისიის წევრებს შეხვედრა დაზარალებულთან, მისი ოჯახის წევრებთან, განიხილეს თუ არა ადგილზე მატერიალური დახმარებისა და სხვა სოციალური ხასიათის საკითხები, აუხსნეს მათი კანონიერი უფლებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სპეციალური გამოკვლევის აქტის დასკვნით ნაწილში მოცემული უნდა იქნეს თანდართული მასალების ჩამონათვალი, დებულების 4.4. პუნქტის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე -----

(თარიღი, ხელმოწერა)

კომისიის წევრები -----

(თარიღი, ხელმოწერა)

დანართი №4

სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს წარმომადგენლის

დასკვნა

უბედური შემთხვევის შესახებ, რომელიც მოხდა „-----“ 199 წელს



შემთხვა

/დაზარალებულის სახელი, მამის სახელი, გვარი, თანამდებობა, პროფესია,

ორგანიზაციის დასახელება, მისამართი, დარგი/

მე

/თანამდებობა, სახელი, მამის სახელი, გვარი/

ჩავატარე უბედური შემთხვევის გამოკვლევა

/უბედური შემთხვევის გამოკვლევის ჩატარების მიზეზები/

და შევადგინე ეს დასკვნა უბედური შემთხვევის გამომკვლევ კომისიის მიერ

199 „-----“ დან 199 წლის „-----“ მდე ჩატარებული გამოკვლევის მასალებზე დაყრდნობით.

დადგინდა:

/უბედური შემთხვევის ადგილის მოკლე დახასიათება, საშიში და მავნე

შრომის პირობების, ფაქტორების, მოწყობილობების, მათი ტიპების, ძირითადი

პარამეტრების, გამოშვების წლის და სხვა ჩვენებით/

უბედური შემთხვევის გარემოებანი:

/გადმოიცემა ამბების თანამიმდევრობა,

დაზარალებულისა და სხვა პირთა მოქმედებანი/

ჩემს მიერ ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე გამომაქვს დასკვნა:

/უბედური შემთხვევის მიზეზების ჩვენება, იმ ნორმატიული აქტების ჩვენება,

რომელიც დარღვეულია, დასკვნით ნაწილში მიეთითება შრომის კანონმდებლობისა და შრომის დაცვის ნორმატიული აქტების დამრღვევ პირებზე. მათ მიერ დარღვეული ნორმატიული აქტების მუხლებისა და პარაგრაფების ჩვენებით. დასკვნით ნაწილში უნდა იქნეს მოთხოვნა ფორმა ტ - I აქტის შესაბამისობაში მოსაყვანად დასკვნასთან.



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

ორგანიზაციის ხელმძღვანელი

/ხელმოწერა, ხელმოწერის გაშიფვრა/

„-----“ „-----“

/თარიღი/

ბეჭედი

- ერთი ეგზემპლარი რჩება

ორგანიზაციაში;

- ეგზემპლართ: ა) დაზარალებულსანმის მიერ
უფლებამოსილ პირს;

ბ) შრომის სახ. ინსპექციას

ა ქ ტ ი

წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ

/დგება 3 ეგზემპლარად/

1. სამინისტრო-უწყება -----

2. ორგანიზაციის დასახელება-----

2.1. ორგანიზაციის მისამართი

ქალაქი, ქუჩა, სახლის № -----

2.2. საამქრო, უბანი, ადგილი,

სადაც მოხდა უბედური შემთხვევა -----

3. ორგანიზაცია, რომელმაც გაგზავნა მუშაკი -----

(სამინისტროს, უწყების დასახელება, მისამართი)

4. დაზარალებულის გვარი, სახელი, მამის სახელი

5. სქესი: მამრობითი, მდედრობითი (ხაზი გაესვას)

6. ასაკი (მიუთითეთ სრული წლების ოდენობა -----

7. პროფესია, თანამდებობა -----

თანრიგი, კლასი -----



8. მუშაობის სტაჟი, რომლის შესრულების დროსაც მოხდა უბედური შემთხვევა -

9. ინსტრუქტაჟი, უსაფრთხოების საკითხების სწავლება

(ჩატარების თარიღი)

9.1. შესავალი ინსტრუქტაჟი

9.2. პროფესიის სწავლება

9.3. პირველადი, განმეორებითი ინსტრუქტაჟი

9.4. ცოდნის შემოწმება

10. უბედური შემთხვევის მოხდენის თარიღი და დრო

(რიცხვი, თვე, წელი)

(სრული საათების რაოდენობა სამუშაოს დაწყებიდან)

11. უბედური შემთხვევის გარემოებანი:

11.1. შემთხვევის სახეობა

11.2. მიზეზები

11.3. მოწყობილობა, რომელმაც გამოიწვია ტრავმა

(დასახელება, ტიპი, გამოშვების წელი, დამამზადებელი საწარმო)

11.4. დაზარალებულის არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა

12. უბედური შემთხვევის მიზეზების თავიდან ასაცილებელი ღონისძიებები

13. პირები, რომლებმაც დაარღვიეს შრომის კანონმდებლობა, შრომის დაცვის წესები



ნორმატიული დოკუმენტები)

13.1. საწარმო, რომლის მუშაკიცაა აღნიშნული პირი

14. უბედური შემთხვევის თვითმხილველი

აქტი შედგენილია

(წელი, თვე, რიცხვი)

კომისიის თავმჯდომარე:

(ხელმოწერა, ხელმოწერის გაშიფვრა)

კომისიის წევრები:

(ხელმოწერა, ხელმოწერის გაშიფვრა)

15. უბედური შემთხვევის შედეგები:

15.1. მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანის დროის ხანგრძლივობა

გადაყვენისას წინა ხელფასზე დანამატის ოდენობა

15.2. დიაგნოზი შრომისუნარობის ფურცლის ან სამკურნალო დაწესებულების ცნობის მიხედვით

სამუშაოდან განთავისუფლდა წ. დან დროებითი შრომისუნარობის ხანგრძლივობა

(სამუშაო დღეებში)

დროებითი შრომისუნარობის ფურცლის მიხედვით გაიცა

(თანხა)

15.3. უბედური შემთხვევის შედეგი



დაუდგინდა I, II, III ჯგუფის ინვალიდობა, გარდაიცვალა)

15.4. დაზიანებული შენობების, ნაგებობების ღირებულება -----

15.5. დანგრეული შენობების, ნაგებობების ღირებულება -----

15.6. საერთო ზარალი -----

(თანხა)

ორგანიზაციის მთავარი სპეციალისტი

(ხელმოწერა, ხელმოწერის გაშიფვრა)

„-----“ წ.

„-----“

(თარიღი)

ბუღალტერი

/ხელმოწერის გაშიფვრა/

„-----“ წ.

„-----“

(თარიღი)

დანართი №6

ჟურნალი

წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის რეგისტრაციისთვის

გაერთიანების, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის დასახელება
რიგითი №
უბედური შემთხვევის მოხდენის თარიღი
დაზარალებულის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, მუშაობის სტაჟი
პროფესია, თანამდებობა



უბედური შემთხვევის ადგილი (სამქრო, უბანი, ობიექტი)

მოვლენის სახეობა, რომელმაც გამოიწვია უბედური შემთხვევა

უბედური შემთხვევის ვითარება და მიზეზები

ტრავმის მიმყენებელი მოწყობილობა

ტ-1 ფორმის აქტის ნომერი, შედგენის თარიღი

უბედური შემთხვევის შედეგი

გატარებული ღონისძიებები

